ატომური ენერგიის საერთაშორისო
სააგენტო
საინფორმაციო ცირკულარი

INFCIRC/336
1986 წლის 18 ნოემბერი
გენერალური განცოფილება
დედანი: არაბული, ჩინური, ინგლისური,
ფრანგული, რუსული და ესპანური

კონვენცია ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ

1. ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენცია მიღებული იქნა გენერალური კონფერენციის მიერ სპეციალურ სესიაზე 1986 წლის 24-26 სექტემბერს და გაიხსნა ხელმოსაწერად 1986 წლის 26 სექტემბერს ვენაში და 1986 წლის 6 ოქტომბერს ნიუ-იორკში.[1]

2. დამოწმებული ასლებიდან აღებული კონვენციის ტექსტი თანდართულია ყველა წევრის ინფორმირებითვის.

---

[1] ძალაში შესვლის თარიღი გამოცხადდება წინამდებარე დოკუმენტის დანართში.

30.03.2017

კონვენცია ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ

ამ კონვენციის მხარე სახელმწიფოები,

აცნობიერებენ რა, რომ ბირთვული საქმიანობა წარმოებს მთელ რიგ სახელმწიფოებში,

აღნიშნავენ რა, რომ ბირთვული საქმიანობისას უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად განხორციელდა და ხორციელდება ყოვლისმომცველი ზომები, რომელთა მიზანია ბირთვული ავარიების თავიდან აცილება და ნებისმიერი ამგვარი ავარიის შემთხვევაში, მისი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა,

სურთ რა, გააძლიერონ შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობა ბირთვული ენერგიის უსაფრთხო განვითარებისა და გამოყენების სფეროში,

დარწმუნებულნი არიან რა, იმგვარი საერთაშორისო ჩარჩოს საჭიროებაში, რაც ხელს შეუწყობს დახმარების დროულად აღმოჩენას ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, მისი შედეგების შესამსუბუქებლად,

აღნიშნავენ რა, ამ დარგში ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების სარგებლიანობას,

აღნიშნავენ რა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საქმიანობას სახელმძღვანელო წესების შემუშავების მიმართულებით ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში ურთიერთდახმარების მოსაწესრიგებლად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1. მხარე სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან (შემდეგში „სააგენტო“) ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად, რათა ხელი შეუწყონ დახმარების დროულად გაწევას ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში მისი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით და სიცოცხლის, საკუთრებისა და გარემოს დასაცავად რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელების ზეგავლენისაგან.

2. ამგვარი თანამშრომლობის ხელშესაწყობად, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ორმხრივ ან მრავალმხრივ მოქმედებებზე, ან, მათ კომბინაციაზე, როდესაც ეს შესაძლებელია, იმ ზიანისა და ზარალის თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის

მიზნით, რაც შეიძლება დადგეს ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში.

3. მხარე სახელმწიფოები სთხოვენ სააგენტოს, თავისი წესდების ფარგლებში, ძალისხმევა არ დაიშუროს ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად იმისათვის, რომ განავითაროს, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ამ კონვენციით გათვალისწინებულ თანამშრომლობას მხარე სახელმწიფოთა შორის.

მუხლი 2

დახმარების გაწევა

1. თუ მხარე სახელმწიფოს ესაჭიროება დახმარება ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, წარმოქმნილია თუ არა ამგვარი ავარია ან ავარიული სიტუაცია მისი ტერიტორიის, იურისდიქციის ან კონტროლის ფარგლებში, მას შეუძლია მოითხოვოს ამგვარი დახმარება სხვა მხარე სახელმწიფოსაგან, უშუალოდ ან სააგენტოს მეშვეობით და სააგენტოსაგან, ან, როდესაც ეს შესაძლებელია, სხვა საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისაგან (შემდეგში „საერთაშორისო ორგანიზაციები“).

2. მხარე სახელმწიფომ, რომელიც ითხოვს დახმარებას, უნდა დააკონკრეტოს მოთხოვნილი დახმარების ფარგლები და ტიპი და, როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მიაწოდოს დახმარების გამწევ მხარეს იმგვარი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს აღნიშნული მხარისათვის იმის განსასაზღვრავად, თუ რა მოცულობით შეუძლია მას მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნი მხარე სახელმწიფოსათვის პრაქტიკულად შეუძლებელია მოთხოვნილი დახმარების ფარგლებისა და ტიპის დაკონკრეტება, მომთხოვნმა მხარე სახელმწიფომ და დახმარების გამწევმა მხარემ, კონსულტაციის მეშვეობით, უნდა გადაწყვიტონ მოთხოვნილი დახმარების ფარგლები და ტიპი.

3. თითოეულმა მხარე სახელმწიფომ, რომელსაც ამგვარი დახმარების თხოვნით მიმართავენ, დროულად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და შეატყობინოს მომთხოვნ მხარე სახელმწიფოს, უშუალოდ ან სააგენტოს მეშვეობით, შეუძლია თუ არა მოთხოვნილი დახმარების გაწევა და იმ დახმარების ფარგლები და პირობები, რომლის გაწევა შეუძლია.

4. მხარე სახელმწიფოებმა, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა განსაზღვრონ და სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია იმ ექსპერტების, მოწყობილობისა და მასალების შესახებ, რომლებიც შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი სხვა მხარე სახელმწიფოთათვის დახმარების გასაწევად ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში და, აგრეთვე, იმ პირობების, განსაკუთრებით ფინანსური პირობების შესახებ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ამგვარი დახმარების გაწევა.

5. ნებისმიერმა მხარე სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს ბირთვულ ავარიაში ან რადიაციულ ავარიულ სიტუაციაში ჩართულ ადამიანთა მკურნალობასთან ან სხვა მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროებით გადაყვანასთან დაკავშირებული დახმარება.

6. სააგენტო, მისი წესდების შესაბამისად და ამ კონვენციით გათვალისწინებული წესით, ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში მხარე სახელმწიფოს ან წევრი სახელმწიფოს მიერ დახმარების მოთხოვნის პასუხად:

(a) ხელმისაწვდომს გახდის ამ მიზნისათვის გამოყოფილ სათანადო რესურსებს;

(b) დროულად გადასცემს მოთხოვნას სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, შეიძლება ფლობდნენ საჭირო რესურსებს; და

(c) მომთხოვნი სახელმწიფოს მოთხოვნის შემთხვევაში, კოორდინაციას გაუწევს დახმარებას საერთაშორისო დონეზე, რომელიც ამ გზით შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი.

მუხლი 3

დახმარების ხელმძღვანელობა და კონტროლი

თუკი სხვაგვარად არ არის შეთანხმებული:

(a) მომთხოვნ სახელმწიფოს, საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა დახმარების საერთო ხელმძღვანელობაზე, კონტროლზე, კოორდინაციასა და მეთვალყურეობაზე. დახმარების გამწევმა მხარემ, როდესაც დახმარება პერსონალს მოიცავს, მომთხოვნ სახელმწიფოსთან კონსულტაციით, შეიძლება დანიშნოს პირი, რომელსაც დაეკისრება გამოყოფილი პერსონალისა და მოწყობილობის მართვა და რომელიც მათზე განახორციელებს დაუყოვნებელ ოპერატიულ მეთვალყურეობას. დანიშნულმა პირმა ამგვარი მეთვალყურეობა უნდა განახორციელოს მომთხოვნი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის გზით;

(b) მომთხოვნმა სახელმწიფომ, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი საშუალებები და მომსახურებები, დახმარების სათანადოდ და ეფექტიანად ადმინისტრირებისათვის. მან, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე დახმარების გამწევი მხარის მიერ ან მისი სახელით შეყვანილი/შეტანილი პერსონალის, მოწყობილობისა და მასალების დაცვა ზემოხსენებული მიზნისათვის;

(c) მფლობელობის უფლება თითოეული მხარის მიერ გამოყოფილ მოწყობილობასა და მასალებზე დახმარების პერიოდის განმავლობაში არ განიცდის ცვლილებას, ხოლო მათი დაბრუნება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი;

(d) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით გაკეთებული მოთხოვნის საფუძველზე, დახმარების გამწევმა მხარე სახელწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე უნდა მოახდინოს ხსენებული დახმარების კოორდინირება.

მუხლი 4

კომპეტენტური უწყებები და საკონტაქტო პირები

1. თითოეულმა მხარე სახელმწიფომ სააგენტოსა და სხვა მხარე სახელმწიფოებს, უშუალოდ ან სააგენტოს მეშვეობით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი კომპეტენტური უწყებებისა და საკონტაქტო პირების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ დახმარება ან მიიღონ თხოვნა დახმარების შესახებ, ასევე, დაეთანხმონ შემოთავაზებულ დახმარებას. ამგვარი საკონტაქტო პირები და სააგენტოს მხრიდან პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი.

2. თითოეულმა მხარე სახელმწიფომ დროულად უნდა შეატყობინოს სააგენტოს პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

3. სააგენტომ მხარე სახელმწიფოებს, წევრ სახელმწიფოებსა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს რეგულარულად და დროულად უნდა მიაწოდოს პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ინფორმაცია.

მუხლი 5

სააგენტოს ფუნქციები

მხარე სახელმწიფოები, პირველი მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად და ამ კონვენციის სხვა დებულებებისთვის ხელყოფის გარეშე, სთხოვენ სააგენტოს:

(a) შეაგროვოს და მხარე სახელმწიფოებსა და წევრ სახელმწიფოებს შორის გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

(i) ექსპერტებს, მოწყობილობასა და მასალებს, რომლებიც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ბირთვული ავარიების ან რადიაციული ავარიული სიტუაციების შემთხვევაში;

(ii) მეთოდოლოგიებს, პროცედურებსა და კვლევის ხელმისაწვდომ შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ბირთვულ ავარიებზე ან რადიაციულ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებასთან;

(b) მოთხოვნის შემთხვევაში, დაეხმაროს მხარე სახელმწიფოს ან წევრ სახელმწიფოს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ან სხვა სათანადო საკითხებში:

(i) როგორც ბირთვული ავარიებისა და რადიაციული ავარიული სიტუაციების შემთხვევაში ავარიული გეგმების, ისე შესაბამისი კანონმდებლობის მომზადება;

(ii) შესაბამისი ტრენინგ-პროგრამების შემუშავება პერსონალისთვის, რათა გაუმკლავდნენ ბირთვულ ავარიებს და რადიაციულ ავარიულ სიტუაციებს;

(iii) ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ თხოვნისა და შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა;

(iv) რადიაციული მონიტორინგის სათანადო პროგრამების, პროცედურებისა და სტანდარტების განვითარება;

(v) რადიაციული მონიტორინგის შესაბამისი სისტემების შექმნის შესაძლებლობის გამოკვლევა;

(c) ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების მომთხოვნი მხარე სახელმწიფოსთვის ან წევრი სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომი გახადოს შესაბამისი რესურსები, რომელიც გამოყოფილია ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის პირველადი შეფასების განსახორციელებლად;

(d) ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში მხარე სახელმწიფოებსა და წევრ სახელმწიფოებს შესთავაზოს თავისი კეთილი სამსახური;

(e) დაამყაროს და შეინარჩუნოს კავშირი შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შესაბამისი ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვებისა და გაცვლის მიზნით და ხელმისაწვდომი გახადოს ამგვარი ორგანიზაციების სია მხარე სახელმწიფოებისათვის, წევრი სახელმწიფოებისათვის და ზემოხსენებული ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 6

კონფიდენციალურობა და საჯარო განცხადებები

1. მომთხოვნმა სახელმწიფომ და დახმარების გამწევმა მხარემ უნდა დაიცვან ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა რომელიმე მათგანისთვის ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. ამგვარი ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ შეთანხმებული დახმარების მიზნით.

2. დახმარების გამწევმა მხარემ, ბირთვულ ავარიასთან ან რადიაციულ ავარიულ სიტუაციასთან დაკავშირებით გაწეული დახმარების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებამდე, უნდა მიმართოს ყველა ზომას მომთხოვნ სახელმწიფოსთან კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 7

ხარჯების ანაზღაურება

1. დახმარების გამწევ მხარეს შეუძლია შესთავაზოს დახმარება მომთხოვნ სახელმწიფოს მისთვის ხარჯების დაუკისრებლად. ამგვარი წესით დახმარების შეთავაზების განხილვისას, დახმარების გამწევმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

(a) ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის ხასიათი;

(b) ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის წარმოქმნის ადგილი;

(c) განვითარებადი ქვეყნების საჭიროებები;

(d) ბირთვული დანადგარების არმქონე ქვეყნების კონკრეტული საჭიროებები; და

(e) ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი.

2. როდესაც დახმარება მთლიანად ან ნაწილობრივ ხორციელდება ანაზღაურების საფუძველზე, მომთხოვნმა სახელმწიფომ დახმარების გამწევ მხარეს უნდა აუნაზღაუროს ხარჯები, რომელიც დადგა მისი სახელით მოქმედი პირების ან ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების შედეგად, ასევე, დახმარების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ ანაზღაურდება. სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ანაზღაურება უნდა მოხდეს მაშინვე, როგორც კი დახმარების გამწევი მხარე მომთხოვნ სახელმწიფოს წარუდგენს მოთხოვნას ანაზღაურების შესახებ, და ადგილობრივი ხარჯების გარდა სხვა ხარჯები, უნდა იყოს თავისუფლად გადარიცხვადი.

3. მე-2 პუნქტის მიუხედავად, დახმარების გამწევ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას, ან დათანხმდეს ანაზღაურების გადავადებას მთლიანად ან ნაწილობრივ. უარის თქმის ან გადავადების შესაძლებლობის განხილვისას, დახმარების გამწევმა მხარემ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებანი.

მუხლი 8

პრივილეგიები, იმუნიტეტები და შეღავათები

1. მომთხოვნმა სახელმწიფომ დახმარების გამწევი მხარისა და მისი სახელით მოქმედ პერსონალს უნდა მიანიჭოს აუცილებელი პრივილეგიები, იმუნიტეტები და პირობები დახმარების მიზნით მათი ფუნქციების შესასრულებლად.

2. მომთხოვნმა სახელმწიფომ შემდეგი პრივილეგიები და იმუნიტეტები უნდა მიანიჭოს დახმარების გამწევი მხარის ან მისი სახელით მოქმედ პერსონალს, რომელთაც სათანადოდ ეცნობათ აღნიშნულის თაობაზე და რომლებიც მიღებულნი იქნენ მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ:

(a) იმუნიტეტი დაკავებისაგან, დაპატიმრებისაგან და სამართალწარმოებისგან მომთხოვნი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და

ადმინისტრაციული იურისდიქციის ჩათვლით, მათი მოვალეობების შესრულების პროცესში ჩადენილ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან მიმართებაში; და

(b) გათავისუფლება გადასახადებით დაბეგვრისაგან, საბაჟო გადასახადისგან ან სხვა გადასახდელებისგან გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც შედის საქონლის ფასში, ან გადახდილია გაწეული მომსახურებისათვის, დახმარების ფარგლებში მათი ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში.

3. მომთხოვნმა სახელმწიფომ უნდა:

(a) გაათავისუფლოს დახმარების გამწევი მხარე გადასახადებით დაბეგვრისაგან, ბაჟისაგან ან სხვა მოსაკრებლებისაგან იმ მოწყობილობასა და ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც დახმარების გამწევმა მხარემ შეიტანა მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დახმარების გაწევის მიზნით; და

(b) მიანიჭოს იმუნიტეტი ამგვარი მოწყობილობისა და საკუთრების კონფისკაციისაგან, დაყადაღების ან რეკვიზიციისაგან.

4. მომთხოვნმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამგვარი მოწყობილობისა და საკუთრების დაბრუნება. დახმარების გამწევი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მომთხოვნმა სახელმწიფომ, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა მიიღოს ზომები დახმარების გაწევის მიზნით გამოყენებული აღდგენადი მოწყობილობის დეკონტამინაციისათვის მის უკან დაბრუნებამდე.

5. მომთხოვნმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს იმ პერსონალის, რომელთა შესახებაც ეცნობა მომთხოვნ სახელმწიფოს მე-2 პუნქტის შესაბამისად, ასევე, დახმარების გაწევისას გამოყენებული მოწყობილობისა და ქონების მის ეროვნულ ტერიტორიაზე შესვლას/შეტანას, დარჩენასა და გამგზავრებას/გატანას.

6. ეს მუხლი არ ავალდებულებს მომთხოვნ სახელმწიფოს, მიანიჭოს თავის მოქალაქეებს ან მუდმივად მცხოვრებ პირებს ის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომელებიც გათვალისწინებულია ზემოთ მითითებულ პუნქტებში.

7. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეზღუდვის გარეშე, ყველა პირი, ვინც ამ მუხლის მიხედვით სარგებლობს ამგვარი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, ვალდებულია, პატივი სცეს მომთხოვნი სახელმწიფოს კანონებსა და რეგულაციებს. ისინი აგრეთვე ვალდებულნი არიან, არ ჩაერიონ მომთხოვნი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

8. ეს მუხლი არ ზღუდავს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესების მიხედვით მინიჭებულ პრივილეგიებთან და იმუნიტეტებთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

9. ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ აღიარებს მე-2 და მე-3 პუნქტების სავალდებულო ძალას, მთლიანად ან ნაწილობრივ.

10. მხარე სახელმწიფოს, რომელსაც, მე-9 პუნქტის შესაბამისად, გაკეთებული აქვს განცხადება, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს იგი დეპოზიტარისათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 9

პერსონალის, მოწყობილობისა და საკუთრების ტრანზიტი

თითოეულმა მხარე სახელმწიფომ, მომთხოვნი სახელმწიფოს ან დახმარების გამწევი მხარის მოთხოვნით, ხელი უნდა შეუწყოს დახმარების გაწევის პროცესში ჩართული და სათანადოდ ინფორმირებული პერსონალის, მოწყობილობისა და ქონების ტრანზიტს მომთხოვნი სახელმწიფოს მიმართულებით და მომთხოვნი სახელმწიფოდან.

მუხლი 10

სარჩელები და კომპენსაცია

1. მხარე სახელმწიფოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალწარმოებისა და სარჩელების გადაწყვეტის ხელშესაწყობად.

2. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მომთხოვნმა სახელმწიფომ, მოთხოვნილი დახმარების ფარგლებში, მის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ არსებულ სივრცეში პირების სიკვდილთან ან დაშავებასთან, ქონების დაზიანებასთან ან დაკარგვასთან, ან გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით:

(a) არ უნდა წამოიწყოს სამართალწარმოება დახმარების გამწევი მხარის ან მისი სახელით მოქმედი პირების ან სხვა იურიდიული პირების წინააღმდეგ;

(b) იკისროს პასუხისმგებლობა მესამე მხარეების მიერ დახმარების გამწევი მხარის ან მისი სახელით მოქმედი პირების ან სხვა იურიდიული პირების წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებაზე;

(c) დაიცვას დახმარების გამწევი მხარე ან მისი სახელით მოქმედი პირები ან სხვა იურიდიული პირები (b) ქვეპუნქტში მითითებული სამართალწარმოებისა და სარჩელების პროცესში ზიანის მიყენებისაგან; და

(d) მისცეს კომპენსაცია დახმარების გამწევ მხარეს ან მისი სახელით მოქმედ პირებს ან სხვა იურიდიულ პირებს:

(i) დახმარების გამწევი მხარის პერსონალის სიკვდილის ან დაშავებისათვის;

(ii) დახმარებასთან დაკავშირებული არახარჯვადი მოწყობილობის ან მასალების დაკარგვის ან დაზიანებისთვის;

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ექნება განზრახ არამართლზომიერ ქმედებას იმ პირთა მხრიდან, რომლებმაც გამოიწვიეს სიკვდილი, დაშავება, ზარალი ან დაზიანება.

3. ეს მუხლი არ გამორიცხავს კომპენსაციას ან ანაზღაურებას, რომელიც გათვალისწინებულია რომელიმე შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

4. ეს მუხლი არ ავალდებულებს მომთხოვნ სახელმწიფოს, მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს მეორე პუნქტი საკუთარ მოქალაქეთა ან მუდმივად მცხოვრებ პირთა მიმართ.

5. ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს:

(a) რომ იგი არ აღიარებს მე-2 პუნქტის სავალდებულო ძალას, მთლიანად ან ნაწილობრივ;

(b) რომ იგი არ გამოიყენებს მთლიანად ან ნაწილობრივ მე-2 პუნქტს იმ ინდივიდთა მიერ გამოვლენილი უხეში დაუდევრობის შემთხვევებში, რომელთაც გამოიწვიეს სიკვდილი, დაშავება, დაკარგვა ან დაზიანება.

6. მხარე სახელმწიფოს, რომელსაც გაკეთებული აქვს განცხადება მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს იგი დეპოზიტარისათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 11

დახმარების შეწყვეტა

მომთხოვნ სახელმწიფოსა და დახმარების გამწევ მხარეს შეუძლიათ ნებისმიერ დროს, შესაბამისი კონსულტაციებისა და წერილობითი შეტყობინების შემდეგ, მოითხოვონ ამ კონვენციის შესაბამისად მოთხოვნილი ან გაწეული დახმარების შეწყვეტა. ამგვარი მოთხოვნის გაკეთების შემთხვევაში, ჩართულმა მხარეებმა უნდა გამართონ ერთმანეთთან კონსულტაცია დახმარების სათანადოდ დასრულების საკითხის მოსაგვარებლად.

მუხლი 12

დამოკიდებულება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან

ეს კონვენცია გავლენას არ ახდენს მხარე სახელმწიფოთა იმ მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც ეხება ამ კონვენციაში მითითებულ საკითხებს ან იმ მომავალი საერთაშორისო

შეთანხმებებით გათვალისწინებულ ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც დაიდება ამ კონვენციის მიზნისა და ობიექტის შესაბამისად.

მუხლი 13

დავების მოგვარება

1. მხარე სახელმწიფოთა შორის, ან მხარე სახელმწიფოსა და სააგენტოს შორის, ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაცია დავის მოლაპარაკების ან დავების მოგვარების მათთვის მისაღები ნებისმიერი სხვა მშვიდობიანი საშუალებით მოგვარების მიზნით.

2. თუკი ამ სახის დავა მხარე სახელმწიფოთა შორის ვერ მოგვარდება პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციის მოთხოვნიდან ერთი წლის განმავლობაში, დავის რომელიმე მხარის მოთხოვნით, დავა გადაეცემა არბიტრაჟს ან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადასაწყვეტად. დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში, თუ მოთხოვნიდან ექვსი თვის განმავლობაში, დავის მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის შემადგენლობაზე, მხარემ შეიძლება მიმართოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ან გაერთიანებული ერების გენერალ მდივანს ერთი ან მეტი არბიტრის დანიშვნის თხოვნით. დავის მხარეთა მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნების გაკეთების შემთხვევებში, პრიორიტეტი ენიჭება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წარდგენილ თხოვნას.

3. ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ აღიარებს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დავის მოგვარების ერთ-ერთი ან ორივე პროცედურის სავალდებულო ძალას. სხვა მხარე სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დავის მოგვარების პროცედურით იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომლის მიერ გაკეთებული ამგვარი განცხადება ძალაშია.

4. მხარე სახელმწიფოს, რომელსაც გაკეთებული აქვს განცხადება მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს იგი დეპოზიტარისათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 14

ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსა და ნამიბიის მიერ, რომელსაც წარმოადგენს „გაერთიანებული ერების საბჭო ნამიბიის საკითხებში“, ატომური ენერგიის

საერთაშორისო სააგენტოს შტაბ-ბინაში, ვენაში და გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში, 1986 წლის 26 სექტემბრიდან და 1986 წლის 6 ოქტომბრიდან, შესაბამისად, მის ძალაში შესვლამდე, ან თორმეტი თვის განმავლობაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი პერიოდი იქნება უფრო ხანგრძლივი.

2. ამა თუ იმ სახელმწიფოსა და ნამიბიას, რომელსაც წარმოადგენს „გაერთიანებული ერების საბჭო ნამიბიის საკითხებში", შეუძლია გამოთქვას თანხმობა ამ კონვენციის სავალდებულო ძალის აღიარებაზე, მისი ხელმოწერით, ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის ჩაბარების გზით იმ ხელმოწერის შემდეგ, რომელიც რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას ექვემდებარება, ან შეერთების სიგელის ჩაბარების გზით. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების სიგელები უნდა ჩაბარდეს დეპოზიტარს.

3. ეს კონვენცია ძალაში შევა სამი სახელმწიფოს მიერ მისი სავალდებულო ძალის აღიარებიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

4. თითოეული სახელმწიფოსთვის, რომელიც გამოხატავს თანხმობას ამ კონვენციის სავალდებულო ძალის აღიარებაზე მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შევა თანხმობის გამოხატვის თარიღიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

5. (a) ეს კონვენცია ღიაა მასთან შესაერთებლად, როგორც ეს ამ მუხლით არის გათვალისწინებული, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შექმნილია სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ და რომელთაც გააჩნიათ ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების, ამგვარი შეთანხმებების დადებისა და გამოყენების უფლებამოსილება;

(b) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ამგვარმა ორგანიზაციებმა, საკუთარი სახელით, უნდა ისარგებლონ უფლებებით და შეასრულონ ვალდებულებები, რომლებსაც ეს კონვენცია განუსაზღვრავს მხარე სახელმწიფოებს;

(c) შეერთების სიგელის დეპონირებისას, ამგვარმა ორგანიზაციამ დეპოზიტარს უნდა მიაწოდოს განცხადება, სადაც მითითებული იქნება მისი უფლებამოსილების ფარგლები ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით;

(d) ამგვარ ორგანიზაციას არ აქვს მისი წევრი სახელმწიფოების ხმებზე დამატებითი ხმის უფლება.

მუხლი 15

დროებითი გამოყენება

სახელმწიფოს შეუძლია, ხელმოწერისას ან მოგვიანებით, მისთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე, განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს დროებით.

მუხლი 16

ცვლილების შეტანა

1. მხარე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციაში ცვლილების შეტანის შეთავაზება. შეთავაზებული ცვლილება წარედგინება დეპოზიტარს, რომელიც დაუყოვნებლივ დაუგზავნის მას ყველა დანარჩენ მხარე სახელმწიფოს.

2. თუ მხარე სახელმწიფოთა უმრავლესობა სთხოვს დეპოზიტარს, მოიწვიოს კონფერენცია შეთავაზებულ ცვლილებათა განსახილველად, დეპოზიტარი მიიწვევს ყველა მხარე სახელმწიფოს ამგვარ კონფერენციაზე დასასწრებად, რომელიც უნდა დაიწყოს მოწვევათა დაგზავნიდან არა უადრეს ოცდაათი დღისა. ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც კონფერენციაზე მიიღება ყველა მხარე სახელმწიფოს ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, შედგება ოქმი, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად ვენასა და ნიუ-იორკში ყველა მხარე სახელმწიფოს მიერ.

3. ოქმი ძალაში შევა სამი სახელმწიფოს მიერ მისი სავალდებულო ძალის აღიარებიდან ოცდაათი დღის შემდეგ. თითოეული სახელმწიფოსთვის, რომელიც გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულო ძალის აღიარებაზე მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ოქმი ძალაში შევა თანხმობის გამოხატვის თარიღიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

მუხლი 17

დენონსაცია

1. მხარე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. დენონსაცია ამოქმედდება დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 18

დეპოზიტარი

1. ამ კონვენციის დეპოზიტარია სააგენტოს გენერალური დირექტორი.

2. სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა დროულად უნდა აცნობოს მხარე სახელმწიფოებსა და ყველა სხვა სახელმწიფოს:

(a) ამ კონვენციაზე ან ცვლილების ნებისმიერ ოქმზე თითოეული ხელმოწერა;

(b) ამ კონვენციასთან ან ცვლილების ნებისმიერ ოქმთან დაკავშირებული რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების თითოეული სიგელის დეპონირება;

(c) მე-8, მე-10 და მე-13 მუხლების შესაბამისად გაკეთებული თითოეული განცხადება ან მისი გაუქმება;

(d) თითოეული განცხადება მე-15 მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის დროებითი გამოყენების თაობაზე;

(e) ამ კონვენციისა და მისი ნებისმიერი ცვლილების ძალაში შესვლა; და

(f) მე-17 მუხლის მიხედვით მომხდარი ნებისმიერი დენონსაცია.

მუხლი 19

ავთენტური ტექსტები და დამოწმებული ასლები

ამ კონვენციის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტებიც თანაბრად ავთენტურია, შესანახად ჩაბარდება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ მდივანს, რომელიც დამოწმებულ ასლებს დაუგზავნის მხარე სახელმწიფოებსა და ყველა სხვა სახელმწიფოს.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელის მომწერებმა, იყვნენ რა სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-14 მუხლის პირველ პუნქტში.

მიღებულია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენციის სხდომის მიერ მის საგანგებო სესიაზე ვენაში, ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი წლის ოცდაექვს სექტემბერს.

30.03.2017 3.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0294/1-16
თარიღი/DATE 16.11.2016
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia